



სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 27 24 01, ელ.
ფოსტა: info@tesau.edu.ge

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ქართული ფილოლოგია Georgian Philology

ფართო სფერო - 02. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები (Arts and Humanities)
ვიწრო სფერო - 023. ენები (Languages)
დეტალური სფერო - 0232. ლიტერატურა და ლინგვისტიკა (Literature and Linguistics)
(0232.1.1. ქართული ფილოლოგია Georgian Philology)

პროგრამის ხელმძღვანელები:

ნუნუ გელდიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ქართული ენის
მიმართულებით

ელენე ფილაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ქართული
ენის მიმართულებით

ნინო კოჭლოშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ქართული ლიტერატურის
მიმართულებით

დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ ოქმი N24, 06 დეკემბერი 2022
ცვლილებები დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ ოქმი N2, 2 თებერვალი 2024
ფაკულტეტის დეკანი: /ასოც. პროფ. შ. ლაზვიაშვილი/

დამტკიცებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
ოქმი N17, 07 დეკემბერი 2022

ცვლილებები დამტკიცებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის მიერ ოქმი N4, 05 თებერვალი, 2024

სამსახურის უფროსი: /ასოც. პროფ. ს. თათულიშვილი/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N29, 07 დეკემბერი 2022
ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ

ოქმი N5, 06 თებერვალი 2024

უნივერსიტეტის რექტორი: /ასოც. პროფ. შ. ჯაღუა/

თელავი
2024

- ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
- დეპარტამენტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
- პროგრამის სახელწოდება: ქართული ფილოლოგია
Georgian Philology
- პროგრამის ანალოგ(ებ)ი:
 - საქართველო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
<https://tsu.ge/assets/media/files/57/>
 - თურქეთი, ქ. დუზჯე, დუზჯეს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო და ლიტერატურის ფაკულტეტი, კავკასიური ენებისა და კულტურის სპეციალობის ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი, <http://kafkas.fef.duzce.edu.tr/>
 - თურქეთი, ქ. რიზე, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო და ლიტერატურის ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა, <http://gde.fef.erdogan.edu.tr/>
 - თურქეთი, ქ. ყარსი, კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიური ენებისა და ლიტერატურის სპეციალობის ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი, <https://www.kafkas.edu.tr/gdeab>

▪ პროგრამის ხელმძღვანელები:

ნუნუ გელდიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ქართული ენის
მიმართულებით

საკონტაქტო ინფორმაცია:

☎. 593 14 64 05

✉ nunu.geldiashvili@tesau.edu.ge

ელენე ფილაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ქართული
ენის მიმართულებით

საკონტაქტო ინფორმაცია:

☎. 593 50 42 70

✉ elene.pilashvili@tesau.edu.ge

ნინო კოჭლოშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ქართული ლიტერატურის
მიმართულებით

საკონტაქტო ინფორმაცია:

☎. 593 33 58 71

✉ nino.kochloshvili@tesau.edu.ge

- აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I)
- საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: ძირითადი
- სწავლების ენა: ქართული
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი
Bachelor of Georgian Philology

▪ **პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 ECTS კრედიტი**

▪ **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი, ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთო ეროვნულ გამოცდებს.

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

სტუდენტი ვალდებულია, გააფორმოს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება, გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული/ფინანსური რეგისტრაცია.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

1. მოამზადოს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მქონე ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი, რომელიც იქნება განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში და შეძლებს ცოდნის გამოყენებას საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში; ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების დამატებითი პროგრამის ათვისებისა და მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ;

2. გადასცეს კომპლექსური/ფართო თეორიული ცოდნა ქართული ფილოლოგიის სფეროს ცალკეულ დისციპლინებში, რაც ძირითადად მოიცავს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის უმთავრეს საკითხებს, თემებს, თეორიებსა და პრინციპებს (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლესიკა-ფრაზეოლოგია, ქართული ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია, ლიტერატურული კრიტიკა და სხვ.); მათი კრიტიკული გააზრებით ჩამოუყალიბოს შემეცნებითი-ანალიტიკური აზროვნების, პრაქტიკული საქმიანობის, ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის საბაზისო უნარ-ჩვევები ზოგიერთი უახლესი ასპექტის გათვალისწინებით;

3. გამოუმუშავოს კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საქმიანობის ობიექტური და ეთიკური პრინციპების დაცვით განხორციელება; ტოლერანტულობა; სხვადასხვა გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება; ხელი შეუწყოს მის მიერ საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას; ეროვნული და ზოგადსაგანობრიო იდეალების დამკვიდრებას.

შემენილი ცოდნა მნიშვნელოვნად აამაღლებს ბაკალავრის კომპეტენციას, რაც უზრუნველყოფს მის კვალიფიციურობასა და კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე, წარმატებით დასაქმებას ყველგან, სადაც ფართო, საუნივერსიტეტო განათლების მქონე ფილოლოგის საჭიროებაა; ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე გაცვლით

საგანმანათლებლო პროგრამებში/კონფერენციებში მონაწილეობისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, შექმნის მყარ საფუძველს სწავლის გასაგრძელებლად უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში. კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით შესრულებას.

პროგრამა შეესაბამება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზანს, მისიასა და სტრატეგიას და ხელს უწყობს სპეციალისტს, წვლილი შეიტანოს რეგიონში/ქვეყანაში ქართული ფილოლოგიის სფეროს, ქართული და უცხოური კულტურის, საზოგადოების ფასეულობების შემდგომ დახვეწა-განვითარებაში; იყოს ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული.

■ სწავლის შედეგი

„ქართული ფილოლოგიის“ (ქართული ენა და ლიტერატურა) საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული, დასახული მიზნებიდან და პროფილიდან გამომდინარე, ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება

1. (1.1.) აქვს ფართო ცოდნა ქართველური ენათმეცნიერების, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, დამწერლობათმცოდნეობის უმთავრეს თეორიებსა და პრინციპებზე; აღწერს ძველი და ახალი ქართული ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, სტილისტიკა) საბაზისო საკითხებს; იცნობს ქართული ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის და დიალექტოლოგიის ძირითად თემებს;
2. (1.2.) გააზრებული აქვს ლინგვისტური კვლევის ასპექტები და მეთოდოლოგია; მათი ტრადიციული და ზოგიერთი თანამედროვე/უახლესი ასპექტის, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებით აღწერს, მიმოიხილავს და ერთმანეთს ადარებს ქართულ სალიტერატურო ენაში მიმდინარე პროცესებს/ცვლილებებს/ თავისებურებებს; განსაზღვრავს მათ როლს/შედეგებს/გავლენას საზოგადოებისა და სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში;
3. (1.3) აღწერს ძველი, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების ქართული მწერლობის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრობრივ და მხატვრულ თავისებურებებს, ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების უმთავრეს ტენდენციებს, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითად ასპექტებს, იდეურ-მხატვრულ თავისებურებებს, აგრეთვე თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, ქართული ზეპირსიტყვიერების ძირითად მახასიათებლებს;
4. (1.4.) აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის ძირითადი ასპექტების შესახებ. ქართული ლიტერატურული ძეგლების კრიტიკული გააზრებითა და ცოდნის ზოგიერთი უახლესი ასპექტით აღწერს ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის თავისებურებებს, დანიშნულებასა და მნიშვნელობას. განიხილავს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან

მიმართებით, შესაბამისად გაიაზრებს და წარმოაჩენს მის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

უნარები

5. (2.1.) ქართული ფილოლოგიის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, რთული და მოულოდნელი პრობლემების გადაჭრისათვის, მოქმედებს შემეცნებითობის პრინციპით, კრიტიკულად მსჯელობს ენათმეცნიერების, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, დამწერლობათმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და პრინციპებზე; პრაქტიკულად ერკვევა, ხსნის და გადმოსცემს ძველი და ახალი ქართული ენის ბგერითი შედგენილობის, ფონეტიკური პროცესების, მეტყველების ნაწილების, წინადადების აღნაგობისა და სიტყვათა შეკავშირების, ტექსტის ფუნქციონალური ტიპების, ენის გამომსახველობითი შესაძლებლობების, ლექსიკური თავისებურებების, დიალექტიზმების... საბაზისო/უმთავრეს საკითხებს, თემებს, მათთან დაკავშირებულ მახასიათებლებს, ნორმირების წესებს; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის ენათმეცნიერული შინაარსის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს;

6. (2.2.) განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს; ფლობს ენათმეცნიერული საანალიზო მასალის შეგროვების, კლასიფიცირების და დამუშავების ხერხებს; განმარტავს და აანალიზებს მათ სტანდარტული და ზოგიერთი თანამედროვე/უახლესი მეთოდით; ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე აყალიბებს სათანადო დასკვნებს სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით; იდევბის, ასევე, არსებული პრობლემების / დასახული ამოცანების გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან წერილობით თუ ზეპირ ურთიერთობას (პრეზენტაციის/დისკუსიის/დებატის...) წარმართავს კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმით, ობიექტურობით, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საბიბლიოთეკო-ელექტრონული რესურსების გამოყენებით; საჭიროების შემთხვევაში, უცხო ენის ასპექტების გათვალისწინებით;

7. (2.3.) კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს, წარმოაჩენს ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების პრობლემატიკას, ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებებს, ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის როლსა და მნიშვნელობას ეროვნული კულტურის ისტორიაში, ერკვევა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების სპეციფიკურ მხარეებში, ქართული რეალიზმის უმთავრეს ასპექტებში, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ჟანრობრივ და მხატვრულ თავისებურებებში, თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში, იაზრებს ფოლკლორის მნიშვნელობას ქართველი ერის ცხოვრებაში, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით მსჯელობს ტექსტოლოგიური კვლევის პრინციპებსა და მეთოდებზე, აანალიზებს ლიტერატურის თეორიის საკითხებს, განიხილავს ქართული სალიტერატურო კრიტიკის ძირითად პროცესებს, ახდენს ეროვნული ლიტერატურული ძეგლების ინტერპრეტირებას და კონტექსტუალიზაციას მსოფლიო ლიტერატურასთან მიმართებით;

8. (2.4) წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებულ ცოდნას გადმოსცემს ლოგიკურად ორგანიზებული საილუსტრაციო ნიმუშების დემონსტრირებით,

კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების საფუძველზე, შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით, აყალიბებს სწორ და არგუმენტირებულ დასკვნებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. (3.1.) კომპლექსურ, არაპროგნოზირებად გარემოში იღებს პასუხისმგებლობას და წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას; ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების, ქართული ლიტერატურის ანალიზისას, შეიმუშავებს კრიტიკულ მიდგომას; განსაზღვრავს და კრიტიკულად აფასებს ლიტერატურულ ტექსტში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს და ხელს უწყობს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალების დამკვიდრებას;

10. (3.2.) საკუთარი საქმიანობის ეთიკის ნორმების დაცვით და ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით, აანალიზებს ლიტერატურულ და ლინგვისტურ მოვლენებს; გამოხატავს პატივისცემას ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და უმცირესობათა ენების მიმართ;

11. (3.3.) ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში მოქმედებს საკუთარი და სხვების პროფესიული განვითარების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით, თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით; ადგენს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებას და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.

■ სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები

➤ სწავლება-სწავლის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტისთვის სასწავლო კომპონენტის განხორციელება (თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დაუფლება/გადაცემა) ხდება სწავლება-სწავლის შემდეგი ძირითადი მეთოდების/ფორმების გამოყენებით:

- ❖ ლექცია;
- ❖ პრაქტიკული მუშაობა (ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვა);
- ❖ დამოუკიდებელი სამუშაოების განხორციელება;
- ❖ კონსულტაციები;
- ❖ და სხვა.

➤ სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობები

სწავლება-სწავლის პროცესში სწავლის თითოეულ შედეგთან დაკავშირებით შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგი აქტივობები:

- გონებრივი იერიში;
- თანამშრომლობითი სწავლა;
- შემთხვევის ანალიზი;
- მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავება;
- ტექსტების და სხვა მასალის კომენტირება, მათი ინტერპრეტაცია და/ან ანალიზი;
- ჯგუფური დისკუსია/დებატები;
- პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით, მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

- კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის/პროექტის დაგეგმვა და განხორციელება; ურთიერთშეფასება;
- კურიკულუმის მიღმა აქტივობები;
- შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტებისა და ენის კორპუსების გამოყენება;
- აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება;
- ვიზიტი სხვადასხვა პროფილის არქივში, მუზეუმსა და ა.შ.;
- შესაბამისი ისტორიულ-კულტურული ძეგლის დათვალიერება/მონახულება.

სწავლება-სწავლა მიმდინარეობს ასევე: ვერბალური, პრობლემაზე დაფუძნებული, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, აღწერითი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების/ფორმების კომბინაციით, ინდუქცია-დედუქციის პრინციპებზე დაყრდნობით, ინტერაქტიულად.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ერთობლიობა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაციას, ორიენტირებულია სტუდენტზე და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლება-სწავლის მეთოდს/ფორმას და აქტივობას ირჩევს ლექტორი, განსაზღვრავს საგნის მიზანს, ამოცანებს, სავარაუდო შედეგს (ცოდნა, უნარი, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხარისხი), ასახავს სილაბუსში და პასუხისმგებელია შედეგების მიღწევაზე.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლებელია, იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ, რამდენიმე ან სხვა აქტივობას, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სწავლება-სწავლის პროცესში სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული/გამოსაყენებელი სწავლება-სწავლის მეთოდები/ფორმები და აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის, რაც ხელს უწყობს და უზრუნველყოფს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებასაც, პერსონალსა და სტუდენტებს, ასევე სტუდენტებს შორის ინტერაქციას.

სწავლების ერთი კონკრეტული მეთოდი მხოლოდ ერთი რომელიმე უნარის განვითარებაზე არ არის ორიენტირებული და ბევრ შემთხვევაში სხვა უნარების (მაგ.: კრიტიკული და ანალიტიკური) განვითარებასაც უწყობს ხელს.

❖ **ლექცია** - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია, ყურადღება მიექცეს გადასაცემი/განსახილველი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

❖ **პრაქტიკული** - აერთიანებს სწავლების ყველა იმ აქტივობას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ დავალებას. ასეთი მუშაობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარ-ჩვევების განმტკიცებას.

❖ **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სემინარზე

მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

- ❖ **დამოუკიდებელი მუშაობა** - ასეთი მუშაობით სტუდენტი ამოწმებს მასალის ათვისების ხარისხს.
- ❖ **კონსულტაციები** - მათი მიზანია სწვლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრა, მაგალითად, ობიექტური მიზეზების გამო სილაბუსის გრაფიკიდან ჩამორჩენა, მიცემული თეორიული მასალის არასათანადოდ გაცნობიერება, შეუსრულებელი დავალებების აღდგენა და სხვა; კონსულტაციები შეიძლება განხორციელდეს დისტანციურადაც.
- ❖ **ელექტრონული სწავლება (E-learning) – გულისხმობს** სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის: დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს. დისტანციური სწავლებისთვის გამოიყენება Moodle, Google Classroom და Google Hangout (Meet) პლატფორმები. გამოიყენება სინქრონული და/ან ასინქრონული სწავლების კომუნიკაციის ფორმა. სასწავლო კურსის მასალის გადასაცემად შერჩეული იქნება ელექტრონული სწავლების მეთოდები, ელემენტები და რელევანტური ელექტრონული ტექნოლოგიური ინსტრუმენტები. გამოიყენება ელექტრონული სწავლების სხვადასხვა საშუალებები - ტექსტური, აუდიო და ვიდეო მასალა, Power Point სლაიდები და სხვ.
- ❖ **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
- ❖ **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- ❖ **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- ❖ **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- ❖ **ანალიზის მეთოდი** - გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- ❖ **სინთეზის მეთოდი** - გულისხმობს შეზრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
- ❖ **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან

განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

- ❖ **დედუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- ❖ **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტის სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატს ან/და პრეზენტაციას, სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.
- ❖ **წერითი მუშაობის მეთოდი** - გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
- ❖ **ეგრისტიკული მეთოდი** - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
- ❖ **გონებრივი იერიში** - ეს გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
 - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
 - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
 - კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
 - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
 - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
- ❖ **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- ❖ **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- ❖ **დემონსტრირება** - ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც მასწავლებლის, ისე - სტუდენტის მიერ, რაც გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

▪ დასაქმების სფერო

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ფართო ზოგადი და დარგობრივი (ფილოლოგიური) ცოდნისა და ტრანსფერული უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შეძლებს პროფესიით წარმატებით დასაქმებას ყველგან, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო დაწესებულებებში, სადაც ფართო საუნივერსიტეტო განათლების მქონე ფილოლოგის საჭიროებაა, კერძოდ:

- სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები;
- კულტურის სფეროს დაწესებულებები;
- საისტორიო-ლიტერატურული არქივები;
- ხელნაწერთა ინსტიტუტი;
- ლიტერატურის ინსტიტუტი;
- მუზეუმები;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ-გამოცემები);
- ბიბლიოთეკები;
- დარგობრივი ასოციაციები/საზოგადოებები;
- გამომცემლობა, რედაქცია;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად (განათლების დამატებითი პროგრამის ათვისებისა და მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ).

პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეეძლება განათლების შემდგომ, მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში.

▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად უნივერსიტეტში არსებობს შესატყვისი მატერიალური რესურსი, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა: ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს წიგნთსაცავი, სააბონენტო და სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ტექნიკა, სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზები, წიგნადი ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული), ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობით (Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>); e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>) SAGE Premier (<https://journals.sagepub.com>); Edward Elgar Publishing Journals (<https://www.elgaronline.com/>)...; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტისა და პროფესორ-მასწავლებელთა პირადი წიგნადი ფონდი; საპრეზენტაციო დარბაზები და შეუზღუდავი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები; სტუდენტი, საჭიროებისამებრ, ისარგებლებს ქალაქისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკით, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკით, მუზეუმებით, არქივით, ხელნაწერთა ინსტიტუტით, კერძო არქივებით. აგრეთვე, ბეჭდური ბაზების პარალელურად სტუდენტს შესაძლებლობა ექნება, გამოიყენოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ონლაინ სამეცნიერო ბაზები (Elsevier-ის: ScienceDirect @online; Scopus® online; Scival Funding (Funding Institutional...)).

უნივერსიტეტში სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო; გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები:

- ✓ კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები;
- ✓ ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- ✓ სასმელი წყლით უზრუნველყოფის 24 საათიანი მომსახურების რეჟიმი;
- ✓ კვების ბლოკი;
- ✓ საინტერნეტო სივრცე;
- ✓ გათბობის საშუალებები;
- ✓ სველი წერტილები.
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ✓ ევაკუაციის გეგმა;
- ✓ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

■ სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა რეგულირდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულებით (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი #5 14.03.2018წ.).

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, იყოფა ორ ელემენტად - შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა, ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა. შეფასების ზოგად კრიტერიუმებს შემიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი სტრუქტურა.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის კომპეტენციების შეფასების მეთოდებს:

- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება, საშინაო ნაშრომი;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო;
- ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრეზენტაცია;
- და სხვ.

სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ კომპონენტში სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს შემდეგი საშუალებები:

- ესე;

- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი;
- თეორიული დავალების შესრულება;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- დისკუსიაში/დებატში მონაწილეობა;
- გუნდური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- და სხვ.

საგნის სილაბუსში, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია კრიტერიუმებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების საშუალებების დაზუსტება (დეტალურად იხილეთ პროგრამის სილაბუსები).

შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასება ხდება ქულათა სისტემით, ყოველი საგნის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას. საგანში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დასკვნით გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის გავლის პროცესში ნაჩვენები შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 91-100 ქულა - ნიშანი A (ფრიადი)
- 81-90 ქულა - ნიშანი B (მაღიან კარგი)
- 71-80 ქულა - ნიშანი C (კარგი)
- 61-70 ქულა - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- 51-60 ქულა - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

41-50 - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება საგნის სხვა კომპონენტები მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.

40 და ნაკლები ქულა - ნიშანი F (ჩაიჭრა), სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს შესასრულებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება საგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსის ლექტორი განსაზღვრავს დასკვნითი და შუალედური შეფასებების კომპეტენციის მინიმალურ გადასალახ ზღვარს, რომელიც არ აღემატება შუალედური და დასკვნითი შეფასებების 60 %-ს.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

■ სწავლების ორგანიზების თავისებურებები

„ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლება/სწავლა მოიცავს 4 (ოთხ) წელს, რომელიც შედგება 8 (რვა) სემესტრისგან (კრედიტების რაოდენობა სულ - 240).

პროგრამა შედგება: ძირითადი სწავლის სფეროს (ქართული ფილოლოგია) სავალდებულო, სწავლის სფეროს არჩევითი, საუნივერსიტეტო თავისუფალი-სავალდებულო და თავისუფალი არჩევითი კომპონენტებისაგან.

კერძოდ:

პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან საუნივერსიტეტო თავისუფალ-სავალდებულო კურსებს ეთმობა 35 კრედიტი; სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს - 110 კრედიტი, სფეროს არჩევით კურსებს - 20 კრედიტი, თავისუფალ არჩევითი კურსებს - 5 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას - 10 კრედიტი. 60 კრედიტი გათვალისწინებულია დამატებითი (მაინორი) პროგრამის, ან თავისუფალი კურსების ასათვისებლად.

ასეთი კომბინირებული დაშვება ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპის გამყარებას, ყველა კომპეტენციის სრულფასოვანი გამომუშავების შესაძლებლობას/შედეგების მიღწევის რელევანტურობას და შესაბამისი მიმართულებით(პროფესიული სფერო) დასაქმებას.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო პროგრამა საუნივერსიტეტო თავისუფალი-სავალდებულო კურსის სახით (20 კრედიტი) სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსებს უცხო ენაში (ინგლისური/გერმანული/რუსული), რის საფუძველზეც სტუდენტი შეძლებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, მობილობებში / გაცვლით პროგრამებსა თუ პროექტებში მონაწილეობას.

ერთი კრედიტი უტოლდება 25 (ოცდახუთ) საათს, რაც აერთიანებს სტუდენტის, როგორც სააუდიტორიო, ისე - დამოუკიდებელ მუშაობას. სალექციო/სასწავლო კურსები გადანაწილებულია რვა სემესტრზე, თუმცა მერვე სემესტრში ძირითადი დატვირთვა (10 კრედიტი) მოდის საბაკალავრო ნაშრომზე.

საბაკალავრო ნაშრომი სრულდება პროგრამის ფარგლებში. შესათავაზებელი საორიენტაციო თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. სტუდენტს თემის შერჩევა შეუძლია სურვილის გათვალისწინებით ქართული ფილოლოგიის სფეროს ფარგლებში ენათმეცნიერების ან ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით. სწორედ ამ პროცესში მის მიერ ფილოლოგიის სფეროში არსებული კვლევების, სამეცნიერო ტერმინოლოგიური აპარატის და ზოგიერთი თანამედროვე მეთოდოლოგიის/მიდგომების გაცნობა-გამოყენება-დამუშავება ეხმარება მას კრიტიკული ანალიზისა და სწორი ინტერპრეტაციის, საბაზისო კვლევითი უნარის გამომუშავებაში, შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის შემთხვევაში კი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა-განხორციელებაში.

შერჩეულ თემას განიხილავს საბაზო დეპარტამენტი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი. თემის დამტკიცება ხდება მერვე სემესტრის დასაწყისში. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული თემის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, მერვე სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

საბაკალავრო ნაშრომი დაცვამდე მოწმდება პლაგიატის (ტურნიტინის) პროგრამაზე.

დაცვაზე სტუდენტი დაიშვება, თუ მას შესრულებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სხვა მოთხოვნა - არა აქვს ფინანსური და აკადემიური დავალიანება და აქვს ხელმძღვანელის შუამდგომლობა დაცვაზე დაშვების შესახებ.

დეტალური ინფორმაცია გაწერილია „საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ“ დებულებასა და სილაბუსში.



პრაქტიკული კომპონენტი „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამისათვის, მიზნისა და შინაარსის გათვალისწინებით, წარმოადგენს აუცილებლობას. პროგრამაში იგი წარმოდგენილია თეორიულ სასწავლო კურსებში გათვალისწინებული პრაქტიკული ან/და სასემინარო საათებით და ასევე დამოუკიდებელი პრაქტიკული სასწავლო კურს(ებ)ით, რაც ეხმარება სტუდენტს, ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი უნარ-ჩვევები.



სასწავლო კურსების სილაბუსებში, კვირაში 2 სთ. (სულ 60 სთ. წელიწადში) ეთმობა აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებთან დამატებით ინდივიდუალურ საკონსულტაციო მუშაობას. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყოფილი დრო გადანაწილდება შესაბამისად თითოეულ სტუდენტზე. საჭიროების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა.



სტუდენტს სწავლება/სწავლის პროცესის პარალელურად შესაძლებლობა აქვს, ჩაერთოს კურიკულუმის მიღმა განხორციელებულ აქტივობებში: სამეცნიერო კონფერენციები; ფილოლოგიური სემინარები, საუბრები ლიტერატურაზე; სტუდენტური დარბაზი; ლიტერატურული კლუბი; სასწავლო ექსკურსიები და სხვა შემეცნებითი თუ სპორტული ღონისძიებები.



საგანმანათლებლო პროგრამის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რადგან შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და შეუძლია, უზრუნველყოს შესაბამისი აუცილებელი ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება ქართულ ფილოლოგიაში. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი/განსახორციელებელი აქტივობები ემსახურება უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროფილს - ფილოლოგიის, როგორც დარგის განვითარების მიზნით და ეხმარება

